# სითინეტი ბიზნესისთვის

# CITYNET FOR BUSINESS

CityNet



# ჭკვიანი ტელეფონია თქვენი ბიზნესისთვის

სითინეტის პროდუქტები სამ ძირითად მიმართულებას მოიცავს:

**კომუნიკაციები, გაყიდვები და ანალიტიკა,**

რაც ქმნის ერთიან ეკოსისტემას.

თითოეული პროდუქტის გამოყენება შესაძლებელია ცალკე, თუმცა მათი კომბინაცია იძლევა მაქსიმალურ შედეგს

# მოიპოვეთ დიდი უპირატესობა თქვენს კონკურენტებთან შედარებით - სითინეტის თანამედროვე და მოწინავე ფუნქციებით




ხმოვანი კავშირის კრისტალურად სუფთა HD ხარისხი; დაბალი ფასები ადგილობრივ და საერთაშორისო ზარებზე და SMS შეტყობინებებზე

---

შემომავალ ზარებზე ავტომატური ხმოვანი მენიუს, SMS შეტყობინებების და სხვა მრავალი ფუნქციის გაფართოებული მართვა ერთი ბიზნეს პორტალიდან.

---

ზარების სრულფასოვანი ანალიტიკა და მარკეტინგული პროცესების ოპტიმიზაცია.

---

24/7 კომპეტენტური პასუხი თქვენი კლიენტებისთვის ავტომატურ რეჟიმში. მრავალ არხიანი ნომერი, რომელიც არასოდეს იქნება დაკავებული.

# ინტერაქტიული ხმოვანი მენიუ - IVR

სითინეტის **კორპორატიულ კლიენტებს თავად შეუძლიათ მართონ თავიანთი კომპანიის ცხელი ხაზი** - აუდიო ფაილებს ხმოვანი მენიუსთვის ბიზნეს პორტალიდან ატვირთავთ (კომპანიის მისალმება; მომხმარებლის ინფორმირება სამუშაო და არასამუშაო საათების შესახებ და სხვა).
ამასთანავე შემოსულ ზარებზე მომხმარებელთა მოლოდინის რეჟიმისთვის შეგიძლიათ ისარგებლოთ სითინეტის ლეგალური მელოდიით.

თქვენს კლიენტებს შეუძლიათ პირდაპირ IVR-დან ღილაკზე ერთი კლიკით მიიღონ შეტყობინება SMS-ის სახით - თქვენი კომპანიის სიახლეების, აქციების ან სხვა ნებისმიერი სერვისის შესახებ.

ზოგჯერ მომხმარებლებს უწევთ ხოლმე პასუხისთვის დიდხანს ლოდინი. ნებისმიერ ასეთი შემთხვევა არასასურველია ბიზნესისთვის. ამის ნაცვლად, დაამყარეთ ჰარმონია მათი რიტმში ჩართვით, დაუკარით სასიამოვნო აუდიო ფაილი, სანამ თქვენი კლიენტები პასუხს ელოდებიან. გახსოვდეთ, რომ ტანგოს ყოველთვის ორი სჭირდება..



# აუდიო ფაილის გენერაცია

სითინეტის ბიზნეს პორტალზე ინტეგრირებული, ხელოვნურ ინტელექტზე (AI) დაფუძნებული ინოვაციური მოდული საშუალებას გაძლევთ - ნებისმიერი სასურველი ტექსტი გარდაქმნათ აუდიო ფაილად

ეს სერვისი ამარტივებს თქვენი კომპანიის ინტერაქტიული ხმოვანი მენიუს აგების პროცესს - არ მოგიწევთ ტექსტის გამხმოვანებელი მსახიობის ძებნა, დაზოგავთ დროს და მნიშვნელოვან თანხებს.






# თქვენს საჭიროებებზე მორგებული ანალიტიკა

კლიენტების აზრის სწორად გაგებამ შესაძლოა თქვენი ბიზნესის ტრანსფორმაციაში ფასდაუდებელი დახმარება გაგიწიოთ! მაგრამ ამისთვის გჭირდებათ ზარების მთელი რიგი რეალური მონაცემების შეგროვება და გაანალიზება.

სწორედ ამ მონაცემების ავტომატურ დამუშავებას, ჩაწერას და ანალიტიკას მოიცავს სითინეტის ბიზნეს პორტალი.

თქვენთვის ხელმისაწვდომი იქნება ისეთი ფუნქციები როგორიცაა:

- ზარების ისტორია;
- ზარების ჩაწერა;
- სტატისტიკური დიაგრამები;
- გამოტოვებული ზარების სტატისტიკა;
- ოპერატორების მუშაობის ანალიტიკა
- ზარების რიგის ანალიტიკა

და სხვა დეტალური მონაცემები, როგორც შემომავალი და გამავალი ზარების, ისე SMS-ების შესახებ.

# ქოლ-ცენტრის და ოპერატორების მუშაობის მონიტორინგი




თვალყური ადევნეთ ზარების სტატისტიკას - რამდენ ზარს გამოტოვებენ თქვენი თანამშრომლები და მოუსმინეთ ხმოვან ჩანაწერებს, ნახეთ თუ როგორ ურთიერთობენ მენეჯერები და აუმჯობესებენ თქვენს გაყიდვებს.

ამასთანავე შეგიძლიათ რეალურ დროში აკონტროლოთ თქვენი ოპერატორების მუშაობის პროცესი.

ბიზნეს პორტალი საშუალებას გაძლევთ აკონტროლოთ ქოლ-ცენტრის მნიშვნელოვანი პარამეტრები და გააუმჯობესოთ მომსახურების ხარისხი.

ჩვენი პლატფორმის საშუალებით გექნებათ მუდმივად განახლებადი ინფორმაცია თქვენი ქოლ-ცენტრის დატვირთულობის შესახებ - საათობრივ, დღიურ თუ ყოველთვიურ ჭრილში. ამასთანავე ნებისმიერი სტატისტიკური მონაცემები შეგიძლიათ დააექსპორტოთ ექსელის ფორმატში.

# ღრუბლოვანი PBX - მრავალფუნქციური ტელეფონია

**თანამედროვე ვირტუალური PBX არის ინსტრუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს თქვენი სატელეფონო სისტემის მრავალფუნქციურობას.
აღნიშნულ სისტემას სითინეტისგან უფასოდ მიიღებთ!**

გააერთიანეთ თქვენი თანამშრომლები ყველა ოფისიდან, ქალაქიდან და ქვეყნიდან ერთ სატელეფონო ქსელში, კლიენტებთან და ერთმანეთთან კომფორტული კომუნიკაციისთვის.

**დაამისამართეთ შემოსული ზარები საჭირო და შესაბამის თანამშრომლებთან ავტომატურად, ზარების განაწილების კონფიგურაციის საშუალებით.**

ვირტუალური PBX გაძლევთ საშუალებას - თქვენი ბიზნესი 24/7 იყოს კავშირზე.

**შეგიძლიათ ერთდროულად მიიღოთ და განახორციელოთ შეუზღუდავი რაოდენობის ზარები ერთი ნომრიდან ისე, რომ ნომერზე არასოდეს გექნებათ დაკავება.**

ვირტუალური PBX ასევე უზრუნველყოფს სატელეფონო სისტემის სხვადასხვა CRM სისტემებთან ინტეგრაციას.




CityNet

# რიგის სისტემა შემომავალ ზარებზე

ეს ფუნქცია გადამწყვეტია იმ ბიზნესებისთვის, რომლებიც იღებენ ზარების მაღალ მოცულობას. ის საშუალებას გაძლევთ მოახდინოთ შემომავალი ზარების განაწილების ავტომატიზირება.

დააორგანიზეთ თქვენი პერსონალი და განყოფილებები სხვადასხვა სტრატეგიულ დონეზე ამ ზარების დასამუშავებლად. ზარების რიგში დგომა ამცირებს ლოდინის დროს და საშუალებას აძლევს თქვენს გუნდს მეტი ზარი დაამუშაოს.



## CALLBACK - ᲖᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲙᲕᲔᲗᲘᲡ ᲕᲘᲯᲔᲢᲘ

ზარის შეკვეთის ავტომატიზირებული ვიჯეტი ინტეგრირდება თქვენს საიტზე და კლიენტს მომენტალურად აკავშირებს ოპერატორთან.

**საიტის ვიზიტორს ასევე შეუძლია შეარჩიოს/შეუკვეთოს მასთან დაკავშირების სასურველი დრო**.

Callback მოტივაციას აძლევს ვებ-გვერდის ვიზიტორებს ჩაერთონ დიალოგში კომპანიასთან. ის ასევე ზრდის სერვისზე და გაყიდვებზე მოთხოვნების რაოდენობას, საშუალოდ **42 - 45%** -ით.



## AUTO DIALER / ᲐᲕᲢᲝᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲢᲝᲠᲘ

ავტოინფორმატორის საშუალებით შეგიძლიათ დაგეგმოთ სარეკლამო კამპანიები

- ავტომატურ რეჟიმში ხმოვანი კავშირით (ზარებით) შეატყობინოთ მომხმარებლებს თქვენი **სიახლეების თუ აქციების** შესახებ.

CityNet

## რეიტინგული შეფასების სისტემა

თქვენი კომპანიის მომსახურების შესახებ მომხმარებელთა **გამოკითხვა / შეფასება** შეგიძლიათ განახორციელოთ სითინეტის რეიტინგული შეფასების ზარების საშუალებით, რომელიც შეფასების ავტომატიზირებული სერვისია და მნიშვნელოვან როლს ასრულებს ნებისმიერი ბიზნესის მომსახურების სტანდარტების დახვეწაში.

მისი მეშვეობით შესაძლებელია მომსახურების ხარისხის მუდმივი მონიტორინგი რეალური მომხმარებლის თვალით.

## საკურიერო გადაწყვეტილება

აღნიშნული ფუნქციონალი, ნებისმიერი ლოკაციიდან მომხმარებელთან კომუნიკაციას ითვალისწინებს - ოფისის ერთი ნომრის საშუალებით.



CityNet

## საერთაშორისო და ადგილობრივი SMS მომსახურება

სითინეტი ადგილობრივი და საერთაშორისო SMS მომსახურების საუკეთესო პირობებს გთავაზობთ.

ბიზნეს პორტალზე ინტეგრირებული SMS სერვისი საშუალებას აძლევს თქვენს ოპერატორებს საჭირო შეტყობინებები გზავნონ სპეციალური პლატფორმიდან - სამუშაო პროცესის დროს.

SMS ტექსტური შეტყობინებები არის თქვენი ბიზნეს კომუნიკაციის სისტემაში დასამატებელი აუცილებელი ინსტრუმენტი.

ამასთანავე შეგიძლიათ ისარგებლოთ VIBER მარკეტინგის სერვისით, რომელიც გაცილებით ეფექტური და ანალიტიკურია ვიდრე სტანდარტული მარკეტინგული SMS სერვისი.



## API ტექნოლოგიით შეერთება

ჩვენი API-ით SMS შეტყობინებების ავტომატიზებას, გენერირებას და გაგზავნას უშუალოდ თქვენი სისტემიდანაც შეძლებთ.

## მობილური აპლიკაცია

VoIP ტექნოლოგიის უპირატესობაა, რომ მას უფრო მეტად პროგრამული უზრუნველყოფა მართავს, ვიდრე აპარატურა. ეს ნიშნავს, რომ თქვენ შეგიძლიათ მართოთ ვირტუალური ოფისი თქვენს სმარტფონში **სითინეტის VoIP აპლიკაციის** დაყენებით. სმარტფონში აპლიკაციის სახით გექნებათ თქვენი ოფისის ნომერი და კავშირზე იქნებით ყველგან ვირტუალური ოფისით, სადაც არ უნდა იყოთ.

## CALL TRACKING – ზარების თრექინგი

ზარების თრექინგი (ზარის თვალთვალი) არის ტექნოლოგია, რომელიც განსაზღვრავს შემოსული ზარის სარეკლამო წყაროს. ზარების თრექინგის წყალობით მარკეტერმა ზუსტად იცის, რამდენად ეფექტურია კონკრეტული სარეკლამო კამპანია და სწორად ანაწილებს სარეკლამო ბიუჯეტს.

## პორტირება და სატელეფონო ნუმერაციის ფართო არჩევანი

შეგიძლიათ თქვენი არსებული ნომერი მარტივად გადმოაპორტიროთ სითინეტის ქსელში. პორტირება უფასოა. ამასთანავე სითინეტს სატელეფონო ნუმერაციის ფართო სპექტრი გააჩნია, შეგიძლიათ შეარჩიოთ როგორც ფასიანი ლამაზი კომბინაციის ნომრები, ისე უფასო ნომრებიც.

# IP ტელეფონები და მოწყობილობები

სითინეტის ვებ-გვერდიდან შეგიძლიათ შეუკვეთოთ თქვენთვის საჭირო აპარატურა, სადაც IP ტელეფონების და მოწყობილობების ფართო არჩევანი და ხელსაყრელი ფასები დაგხვდებათ.



## ააგეთ ეფექტური კომუნიკაცია მომხმარებლებთან, დააოპტიმიზეთ მარკეტინგული პროცესები და გაზარდეთ გაყიდვები!

# მადლობა!


**დამატებითი კითხვებისთვის**

დაგვიკავშირდით: **sales@citynet.ge**

Tel: (+995)322114411

citynet.ge